

Lia Karichashvili

ლია კარიჭაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

For the Interrelationship of Ethics and Aesthetics

(Rustaveli, Nizami)

ეთიკურისა და ესთეტიკურის ურთიერთმიმართებისათვის

(რუსთაველი, ნიზამი)

The ethical credo of Shota Rustaveli and Nizami Ganjavi is closely intertwined with aesthetics. The beauty of the main characters is essentially determined by their worldview and ethics – where morality is flawed, the appearance is flawed as well. This view aligns with Aristotle's perspective. In spiritual literature too, spiritual virtues define a character's beauty.

The inseparability of ethics from aesthetics is one of the fundamental aspects of humanistic worldview, which, in its significance, holds universal, pan-human value and emerges as a clear tendency not only in the works of Rustaveli and Nizami, but in the literature of all ages.

Key words: Rustaveli, Nizami, Ethics, Aesthetics

საკვანძო სიტყვები: რუსთაველი, ნიზამი, ეთიკა, ესთეტიკა

ეთიკის პრობლემატიკა ანტიკურ ფილოსოფიაში აქტიური განხილვის საგანია (სოკრატე, პლატონი, არისტოტელე ...). ესთეტიკის ცნება, როგორც აღმნიშვნელი ფილოსოფიური მოძღვრებისა და ხელოვნებისა და ზოგადად მშვენიერების შესახებ, XVIII საუკუნეში ჩნდება, თუმცა მისი არსისა და კრიტერიუმების განსაზღვრა ანტიკურ ხანაშივე იწყება და ეთიკის პრობლემატიკას მჭიდროდ ებმის. როგორც ეთიკის, ისე ესთეტიკის ნორმები განიცდიან გარკვეულ კორექტივებს ეპოქის, ეროვნული ტრადიციისა და სოციალურ-კულტურული მოდერნიზაციის შესაბამისად.

ეთიკისა და ესთეტიკის ურთიერთმიმართების პრობლემა საყურადღებოა შუასაუკუნეების ლიტერატურაშიც, თეოლოგიაში სიკეთესა და მშვენიერებას ერთი საწყისი აქვს – ღმერთი. შუასაუკუნეების არაერთი მწერალი და მოაზროვნე ხაზს უსვამს ეთიკური ღირებულებების უპირატესობას ესთეტიკურთან შედარებით. წმინდა ავგუსტინეს აზრით, მხოლოდ მორალურად სრულყოფილი ადამიანი შეიძლება იყოს ესთეტიკური. ფსევდო დიონისე არეოპაგელი აღნიშნავდა ღვთიური სილამაზის როლს ადამიანის ზნეობრივ სრულყოფაში. სილამაზე და ჰარმონია მიიჩნეოდა ღვთაებრივი წესრიგის გამოხატულებად. ამდენად, შუასაუკუნეების ქრისტიანულ აზროვნებაში ეთიკა და ესთეტიკა განიხილებოდა, როგორც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი ცნებები.

წმინდა გრიგოლ ნოსელის მიხედვით, ღვთის სახიერებამ ადამიანს მიანიჭა სიბრძნე და გონიერება, ანუ მსგავსება, „ხატი თავისი საკუთარი ბუნების მშვენიებით შემოსა“ (ნოსელი, 2009, გვ. 139). ადამიანი არის სახიერი, „შუენიერი“, რამდენადაც ინარჩუნებს იგი თავის პირველსახეს, ხატობას ღვთისას. ჰაგიოგრაფის მიზანი პერსონაჟის გარეგნული იერსახის აღწერა არ არის, ამიტომაც არ გვხვდება ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში პერსონაჟთა პორტრეტები, თუმცა წმინდანის სახე შეუძლებელია მშვენიერი არ იყოს, რადგან იგი საღვთო მადლითაა აღბეჭდილი. „წმინდანის სულიდან წამოსულ სინათლეს ძალუმს განწონოს „ჭურჭელი სულისა, სხეული, განწონოს სამოსელიც და მიეფინოს ირგვლივ. ასე იხილება წმ. გრიგოლი, ჯავახეთის კრებაზე თავმოყრილთაგან... წმინდანი მშვენიერების მოტრფიალეა და მშვენიერია თავად“ (ვარულავა, 2003, გვ. 12). ამ მშვენიერების წყარო სულიერი საწყისია, ამიტომაც სიყვარული და სიკეთე მისგან განუყოფელია.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ ენაში „კეთილისა“ და „მშვენიერის“ მნიშვნელობები თანხვედნილია:

„კეთილი – ქველი, შუენიერი, უმჯობესი, სულნელი, კარგი, საპატიო, მხნე, საამო“ (აბულაძე, 1973, გვ. 195).

„კეთილი – „შუენიერი, კეთილი, პატიოსანი, ლამაზი, მშვენიერი“ (აბულაძე, 1973, გვ. 508).

„შუენიერი – კეთილი, პატიოსანი, ლამაზი, მშვენიერი“;

„შუენიერება – სიკეთე, სილამაზე“ (აბულაძე, 1973, გვ. 508).

ეთიკისა და ესთეტიკის განუყოფლობა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ესთეტიკურ ფორმათა განსაზღვრა ეთიკური კატეგორიებით შუასაუკუნეების მწერლობის ზოგადი ტენდენციაა და ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ეფუძნება. „შუასაუკუნეებში არსებობდა გარკვეული კონცეფცია სილამაზის, როგორც წმიდა ინტელექტუალური კატეგორიის, როგორც მორალური ჰარმონიის, მეტაფიზიკური ნათების შესახებ, რომელსაც თანამედროვე ადამიანი მხოლოდ განსახილველი ეპოქის მენტალიტეტსა და გრძნობით აღქმაში ფრთხილად შეღწევის შედეგად თუ გაიგებს. სილამაზის წვდომა შუასაუკუნეების ადამიანისთვის იყო, პირველ ყოვლისა, მორალური და ფსიქოლოგიური რეალობა“ – აღნიშნავს უმბერტო ეკო (ეკო, 2015, გვ. 110).

ცხადია, ეს საკითხი მხოლოდ ერთი ეპოქით არ განისაზღვრება, მას უფრო ზოგადი და უნივერსალური ხასიათი აქვს. საყურადღებოა რევაზ სირამის დაკვირვება, რომ ისტორიული მოვლენა თუ ფაქტი რჩება ერის მეხსიერებაში, აქტუალობას არ კარგავს აწმყომიც, თუ კონკრეტულ ისტორიულ ღირებულებასთან ერთად, ეთიკური მნიშვნელობაც გააჩნია. ასეთი ფაქტები ესთეტიკურ მნიშვნელობასაც იძენენ, რადგანაც ახლავთ ამაღლებულის განცდა. „ცოტნე დადიანის თავდადება არამხოლოდ მნიშვნელოვანი ეთიკურ-პატრიოტული აქტია, არამედ ესთეტიკურიც. მას აშკარად ახლავს ამაღლებულის ესთეტიკური განცდა. ქეთევან დედოფლის თავდადება თავისთავად ყოველგვარი მხატვრული შემკობის გარეშეც ამაღლებული ფაქტია“ (სირამე, 2000, გვ. 109).

„ვეფხისტყაოსანი“ აგრძელებს შუასაუკუნეების მწერლობის აღნიშნულ ტენდენციას. ერთი მხრივ, იგი ამკვიდრებს (აღორძინებს) სიახლეს – რენესანსულ ესთეტიკას – ხაზს უსვამს სახე-პერსონაჟთა გარეგნულ მშვენიერებას, ამავე დროს, გარეგანი ხატი იმანენტურ კავშირშია სულიერებასთან. ეს ერთი მთლიანობაა, შინაარსი განსაზღვრავს ფორმას.

„რენესანსული ესთეტიკა, ერთი მხრივ, აღორძინებაა ანტიკური ესთეტიკური პრინციპებისა (მაგალითისთვის იკმარებდა, თუნდაც ანტიკური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი პრინციპის „Mens sana in corpore sano“-ს („ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“) „გადმოტანა“), თუმცა, იმავდროულად, „მემკვიდრეა“ წინარე (შუასაუკუნეების) ეპოქის აზროვნებისა, რომლის მიხედვითაც ზოგადი და ინდივიდუალური, იდეალური და მატერიალური, გარეგნული და შინაგანი ერთიან და განუყოფელ მხატვრულ სახეში ერწყმის ერთმანეთს, რაც, თავის მხრივ, წინამორბედა რენესანსის ეპოქაში ჩამოყალიბებული ინდივიდუალიზმისა“ (ელბაქიძე, 2013, გვ. 90).

პერსონაჟთა გარეგნულ მშვენიერებას, რომელსაც ასე ჰიპერბოლურად აღწერს რუსთაველი, პირველ ყოვლისა, მათი მსოფლმხედველობრივ-ეთიკური მრწამსი განსაზღვრავს და მათივე ქმედებები და ურთიერთობები ადასტურებს, ამიტომაც უკავშირდება მათ სახეებს მშვენიერების, სიკეთისა და ძლიერების სიმბოლოები: მზე, ლომი, ვარდი, ნათელი და სხვა ... სადაც ზნეობა ნაკლოვანია, ნაკლოვანია გარეგნული ხატიც და პერსონაჟი „თვალად ნასია“.

მკვლევარი გიორგი ნადირაძე სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს, როდესაც შენიშნავს, რომ რუსთაველისთვის ადამიანური განცდისა და ქცევის ესთეტიკური ღირსება ემყარება ეთიკურს, ე. ი. მშვენიერია მხოლოდ ის, რაც ზნეობრივია. არც ერთი ადამიანური მოვლენა არ გამოიწვევს ესთეტიკურ მოწონებას, არ ჩაითვლება ლამაზ განცდად ან ლამაზ საქციელად, თუ იგი არ აკმაყოფილებს მორალურ გრძნობებს.

„გენიოსი – მით უმეტეს, ისეთი რანგის გენიოსი, როგორც რუსთაველია, – უპირველეს ყოვლისა, – აღნიშნავს მარიამ კარბელაშვილი (კარბელაშვილი, 2019, გვ. 41). რუსთაველის მხატვრულ სამყაროში ქცევათა გარკვეულ ეთიკურ კოდექსს უკავშირდება სამიჯნურო, სარაინდო, მეგობრული და სოციალური ურთიერთობები. განსაზღვრულია პიროვნულ ღირსებათა მთელი სპექტრი: სიბრძნე, სიუხვე, სამართლიანობა, სიმამაცე, სიკეთე, ქველმოქმედება, თავმდაბლობა, შემწყნარებლობა და სხვა. ეს ყოველივე ესთეტიკურიცაა.

„რუსთაველი სიყვარულს განიხილავს როგორც ეთიკურ, ისე ესთეტიკურ პლანში. სიყვარული, მისი აზრით, უმაღლესი სათნოებაც არის და უმაღლესი მშვენიერებაც. ... „სიყვარულის მსგავსად, მეგობრობაც და გმირობაც ეთიკური სფეროდან თავისუფლად გადადის ესთეტიკურ სფეროში, რადგან მშვენიერია, როდესაც ადამიანი ბოლომდე ავლენს მეგობრობას ანუ მოყვასისადმი სიყვარულის გრძნობას და მშვენიერია, როდესაც ადამიანი საჭირო მომენტში ავლენს გმირობას და თავს წირავს მოყვასისათვის“ (ამირხანაშვილი, 2019, გვ. 121).

ესთეტიკურია ჰარმონიული, მოწესრიგებული სამყაროს ხატი თავისი ზეციური და მიწიერი იერარქიით, ადამიანის კოორდინაციით ამ სამყაროში, ღმერთთან და მოყვასთან სწორი მიმართებით; სინერგიით – ადამიანური ნების თანხვედრით უზენაესის ნებასთან. მშვენიერია ის, რომ ადამიანი, სამყაროს გვირგვინი, ღვთის შემოქმედების უმთავრესი მიზანი („იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი“ (147), რომელსაც გაცნობიერებული აქვს საკუთარი შესაძლებლობები, გონიერება, ძალა, სიკეთე, მშვენიერება, სწრაფვა ბედნიერებისკენ ... (ანუ უკვე თვალსაჩინოა რენესანსის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი – ადამიანის მიერ საკუთარი თავის „აღმოჩენა“), განუხრელად ინარჩუნებს ღვთის რწმენას და მისი მორჩილია ყველაზე მძიმე წუთებშიც კი:

„მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება (99)“;

„უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების, განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქმნების“ (190);

„ვთქვი, თუ: ღმერთსა ვერას ვჰკადრებ, რაცა სწადდეს, აგრე ვყოცა“ (588).

რუსთაველის ეთიკური კრედო ყველაზე მწყობრად და მკაფიოდ ვლინდება ავთანდილის „ანდერშში“, რომელშიც ჩანს წუთისოფლისა და მარადისობის, ადამიანის დანიშნულების ღრმა გააზრება, ჩანს სულიერის გამარჯვება მატერიალურზე, რადგანაც „ანდერშის“ დამწერს არ ამძიმებს მატერიალური ყოფის ისეთი ხუნდები, როგორებიცაა სიმდიდრე, დიდება, ძალაუფლება და მზადაა სიცოცხლე გაწიროს მოყვასის დახმარების მიზნით, სხვათა სიყვარულის გადასარჩენად და ეს ყოველივე ამაღლებული და, მაშასადამე, ესთეტიკურიცაა.

რუსთაველის პერსონაჟთა ესთეტიკაში ჩანს არამარტო მათ მსოფლმხედველობაში, თვისებებსა და ქმედებებში, არამედ საუბარსა და მანერებშიც კი. რუსთაველი რამდენიმე მეთოდს იყენებს მათი ჰიპერბოლიზებული მშვენიერების გადმოსაცემად: აღწერს თვითონ როგორც ავტორი:

„სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული“ (33);
„საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერთ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა“ (40).

აღწერს სხვა პერსონაჟთა მეშვეობით:

„ვუჭვრიტეთ, მისთა ელვათა შუქნი ძლივ გავიცადენით,
ვთქვით, თუ: «მზეაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებით ცად ენით!» (205);
„რა მობრუნდა ქალი ჩემკე, შემოადგეს სხივნი კლდესა,
ლაწვთა მისთა ელვარება ელვარება ზესთა ზესა“ (1132),

აღწერს აგრეთვე იმ ეფექტებით, რომლებსაც მნახველზე ახდენენ პერსონაჟები:

„თვალნი მზეებრ გამირეტდეს, გული მეტად შემიდრწუნდა“ (90);
„აღლა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს, ბნდებოდეს...“ (981).

ზოგჯერ თვითონ პერსონაჟის ნარატივი შეიცავს ავტობიოგრაფიულ:

„მზესა მე ვსჯობდი შვენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა;
იტყოდეს ჩემნი მნახავნი: „მსგავსია ედემს ზრდილისა,
აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა“ (321).

რუსთაველი იშვიათად მიმართავს დეტალურ რეალისტურ აღწერას, იშვიათად აკონკრეტებს პერსონაჟის სახის ნაკვეთებს, მაგალითად, ვიცით, რომ ტარიელს შავი თვალები ჰქონდა: „შეჰხედნის, თვალნი ამართნის, შავ-თეთრი ელვა ჰკრთებოდა“ (1352). შავი თვალები ჰქონია ნესტან-დარეჯანსაც: „მე შემომხედის ლამაზად მის მეღნის ტბისა თვალითა“ (394). ძირითად შემთხვევებში მთავარ პერსონაჟთა სახე თითქოს ნათლის ნისლით არის მოცული, პოეტი მკითხველის ფანტაზიას მიახლოებს ამ არაჩვეულებრივ სახეთა ვიზუალურ წარმოდგენას.

საინტერესოა, რომ ესთეტიზმი არ ირღვევა მაშინაც კი, როდესაც პერსონაჟი ხვდება ისეთ კოლიზიურ სიტუაციაში, სადაც იძულებულია სისხლი დაღვაროს, თანაც „მიპარვით“ („სისხლი მოიპარა“). მხედველობაში გვაქვს ჭაშნაგირის მკვლელობის ეპიზოდი. რაინდული ეთიკა ავთანდილს არ მისცემს უფლებას ქალი (ფატმანი) მიატოვოს განსაცდელში, მით უფრო, რომ მიზეზი თვითონ არის („თავი მოვიკალ უთმინოდ სიყვარულითა შენითა“ (1105). გარდა ამისა, ჭაშნაგირის მუქარის უკან რაღაც იდუმალი, მნიშვნელოვანი ამბავი იმალება („ამა საქმესა ვერ-ცნობა, – თქვა, – ჩემი სიძუნწე არსა“ (1109). რუსთაველს მოსწონს თავისი პერსონაჟის გადაწყვეტილება: „რა ესე ესმა ავთანდილს ლაღსა, ბუნება-ზიარსა, ადგა და ლახტი აიღო, რა ტურფა რამე მხნე არსა!“ (1109). მკითხველის თვალი მიჰყვება ღამით ჭაშნაგირის სახლისკენ მიმავალ ავთანდილს, რომელიც უხმაუროდ, საოცარი სისწრაფით და, უნდა ითქვას, სისასტიკით ხოცავს ჯერ მცველებს, მერე თვითონ ჭაშნაგირს (ახლავს ამ ეპიზოდს რაღაც დეტექტივის ჟანრისთვის ნიშანდობლივი დამაბულობა, დინამიკა ...) ეპიზოდი მთავრდება სტროფით:

„ხმა მათისა დახოცისა არ გაისმა არსით არა.
წამოვიდა ვარდი ტკბილი, რასამცა ვით გაემწარა!
ესე მიკვირს, სისხლი მისი ასრე ვითა მოიპარა!
რომე პირველ წამოველო, გზა იგივე წაიარა.“ (1117)

ავთანდილი კვლავ მშვენიერია – „ვარდი ტკბილი“. რაც შეეხება მისი ნამოქმედარის მორალურ მხარეს, ერთადერთი ტაეპი დაუთმო რუსთაველმა: „ესე მიკვირს, სისხლი მისი ასრე ვითა მოიპარა!“ („სისხლის მოპარვას“ როგორც იურიდიულ ტერმინს განიხილავს მარიამ კარბელაშვილი

წერილში „იურიდიული ტერმინოლოგია ვეფხისტყაოსანში“). ვფიქრობთ, რუსთაველისთვის ავთანდილის მიერ ფატმანის დახსნა ჭაშნაგირისგან თავისი მნიშვნელობით ეკვივალენტურია ვაჭრების დახსნისა მეგობრეთაგან. ავთანდილი ორივეგან მხსნელია. სწორედ ამით აიხსნება მისი ესთეტიკური სახის უცვლელობა. სიმბოლურ-ალეგორიული თვალსაზრისით, ჭაშნაგირი ბოლო დაბრკოლებაა, რომლის გადალახვის შემდეგ ავთანდილს სანუკვარი საიდუმლო ამბის „კარი“ ეხსნება.

„ვეფხისტყაოსანში“ მეგობრობა და სიყვარული ამარცხებს ბოროტებას ღვთის შეწევნით, რათა იზეიმოს სამართალმა, აღდგეს დარღვეული წონასწორობა და აღსრულდეს უმთავრესი იდეა პოემისა – „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (1361). ამ იდეას უკავშირდება მეტაფორა – „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (1420) – რომლის კოსმოგონიურ მხატვრულ-ესთეტიკურ სახეთა მიღმა იკითხება მითოსური, ქრისტიანული და შეიძლება ითქვას, უნივერსალური რწმენა-წარმოდგენები სიკეთის საბოლოო გამარჯვების შესახებ.

რუსთაველის უფროსი თანამედროვის, ნიზამი განჯელის, შემოქმედება აგრეთვე თვალსაჩინოდ გამოკვეთს ეთიკურისა და ესთეტიკურის მთლიანობას.

ნიზამი დიდაქტიკოსია. პირდაპირი შეგონებებით თუ ალეგორიული ფორმებით იგი ზნეობის მასწავლებელია თავისი „ხამსეთი“ და ლირიკით. „მიწიერი და ზეციერი ისე ეხამება მის მოქმედებაში ერთმანეთს, როგორც ზურმუხტი და ფირუზი“ – აღნიშნავს მაგალი თოდუა (თოდუა, 1962, გვ. 5). მართლაც, ნიზამი არამარტო საღვთო სიყვარულს, სულიერი ამაღლების გზებს ასწავლის ადამიანებს, არამედ წუთისოფლის ლაბირინთებისგან თავის დაღწევასაც უადვილებს თავისი პრაქტიკული შეგონებებით, ვნებებისგან გათავისუფლებით და ზნეობრივი სრულყოფისკენ მოწოდებით:

„განა რაა ქედმაღლობა,
რომ იმისთვის გაისარჯო,
ჯერ ამაოდ დაიხარჯო
და მერე კი დაისაჯო?!
ნურც ძალიან იბღინებდი,
თორემ გელის მეტი დარდი,
მიწას მწარედ დაასკდები,
თუ მაღლიდან ჩამოვარდი.
თავზე მტვერი დაიყარე,
ნუ აიკელ მთა და ბარი
და იყავი როგორც მიწა,
მდიდარი და თავმდაბალი.“ (გვ. 15)

ნიზამის ეთიკური ღირებულებები მჭიდროდაა დაკავშირებული ისლამურ მორალთან, სუფიზმთან და ფილოსოფიასთან. მის პოეზიაში ჩანს ფართო განათლება და მრავალმხრივი ცოდნა. „შეიძლება ნიზამი კარგად იცნობს და იყენებს კიდევ სუფიზმის, არისტოტელიზმის ან ზოროასტრიზმის კონცეპტებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის არის სუფიზმის, ანტიკური ფილოსოფიის ან ზოროასტრიზმის მიმდევარი. ასევე, რუსთაველის პოეზიაშიც შეინიშნება სუფიზმის, მანიქეიზმის, ნეოპლატონიზმის, არისტოტელიზმისა და სხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ელემენტები, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ის ამ ფილოსოფიურ სისტემათა მიმდევარია, უბრალოდ, მათ იყენებს თავისი ესთეტიკური მრწამსის შესაქმნელად“ (ამირხანაშვილი, 2019, გვ. 118).

ნიზამის პოეზიის უმთავრესი მოტივებია ღვთის სიყვარული, ადამიანის და ღმერთის ურთიერთობა, წუთისოფელი, სიკეთე და ბოროტება, ადამიანის დანიშნულება, მისი სოციალური, ზნეობრივი სახე და სხვა. თხზულებებში, რომლებშიც ასახულია პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, ჩანს ურთიერთობათა მისეული მოდელი, რომელიც ემყარება სამართლიანობას, ჰუმანიზმს, განათლებას, ცოდნას, შრომას, დისციპლინას. ეს უკანასკნელი ნიზამისთვის

არის შინაგანი ზნეობის გამოვლენის ფორმა, პიროვნების ფიზიკური და გონებრივი ძლიერების მაჩვენებელი.

ნიზამისთვის, როგორც რუსთაველისთვის, უპირველესად ზნესრული ადამიანია მშვენიერი. იგი აფასებს კეთილშობილებას, დიდსულოვნებას, სტუმართმოყვარეობას, თავდაჭერილობას, თავაზიანობას, მაღლიერებას, მიტევებისა და თანადგომის უნარს.

„მთავარი საკითხი, რომელიც პოეტს აფიქრებს, არის ადამიანის ვნებებისგან თავის დაღწევა და სრულყოფილ პიროვნებად გარდაქმნა – აღნიშნავს სევეინჯ ალიევა – იგი მოუწოდებს ადამიანებს ცხოვრების რთულ მომენტებში იყვნენ მომთმენები და არასდროს დაკარგონ იმედი“ (ალიევა, 2021, გვ. 407).

როგორც რუსთაველისთვის, ნიზამისთვისაც ყველაზე დიდი სიკეთე და ღირებულება ამ სამყაროში ადამიანია, უფლის შემოქმედების გვირგვინი, მისივე ხატი.

„ის ვინც, თიხიდან გთითხნიდა,
ის ვინც მიწისგან გმერწავდა,
გული გქონოდა ეცადა,
რადგან სიკეთე ეწადა.
და აკი დიდის ჯაფითა
მიწის ქმნილებას მან ცითა
სხეულში სული ჩაგიდგა,
გული აგივსო განძითა“
(„ჰეი შენ მძიმე ვარამით“, გვ. 80)

ქალი ნიზამის შემოქმედების ცენტრალური ფიგურაა, სიყვარულისა და თავყვანისცემის ობიექტი. როგორც დილარა ალიევა შენიშნავს, ნიზამის ქალები არამარტო მშვენიერნი, არამედ ჭკვიანები, გონიერები, ინტელექტუალები არიან. ნიზამამდე მსოფლიო ლიტერატურაში არც კი იყვნენ ცნობილი ასეთი ქალები. „ნიზამი და რუსთაველი ერთნაირი პატივისცემითა და მოწიწებით ეკიდებიან ქალებს, ხოლო მათი მოსაზრებანი და შეხედულებანი დაფუძნებულია ქალის როლის სწორ გაგებაზე როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში“ (ალიევა, 1983, გვ. 155).

რუსთაველისა და ნიზამის პერსონაჟთა აღწერის მხატვრული მეთოდი მსგავსია. ირინა კილაძე ნაშრომში – „პერსონაჟთა გარეგნული აღწერის პოეტიკა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ხოსროვშირინიანის“ მიხედვით“ – ცდილობს მხატვრული ენის შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინოს პოეტური მეტყველების მსგავსება-განსხვავებანი. ნაშრომში ორივე თხზულებიდან წარმოდგენილია მასალა, რომელიც პერსონაჟთა აღწერა-დახასიათებისთვის არის გამოყენებული.

ნიზამის პოეზიაში სილამაზე და ჰარმონია განიხილება ღვთის სრულყოფილებისა და წესრიგის გამოხატულებად. მისთვის ესთეტიკა არ არის მხოლოდ გარე ფორმა, არამედ სულიერი არსის გამოვლინება. მაგალითად, „შვიდი მზეთუნახავი“, ნიზამის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოემა, ეფუძნება ესთეტიკურ და ეთიკურ სიმბოლიზმს, რომელშიც მთავარი პერსონაჟის, ბაჰრამ გურის, სულიერი მოგზაურობა სხვადასხვა ტიპის ზნეობრივი გამოცდის საშუალებითაა გადმოცემული. ამდენად, გარეგნული მშვენიერება ნიზამის შემოქმედებაში, ისევე როგორც რუსთაველთან, ძირითადად პერსონაჟის შინაგან სიკეთეს, სულიერ სილამაზეს გამოხატავს:

„ყმაწვილი კაცი,
ისეთი ტკბილი, ვით ფიჭაში
ჩამდგარი თაფლი.
რაც კი ადამის ძის სიკეთე
თქმულა ამქვეყნად,
ამკობდა ამ ყრმას,

დარბაისელს და გამორჩეულს.
გონებით ბრძენს და
სილამაზით სახელგავარდნილს
გულზე სულ მუდამ
სათნოება ეჭიდებოდა.“
(„მწვანე სასახლე“, გვ. 80)

ნიზამის პოემა „ლეილი და მაჯნუნი“ ფოკუსირებულია არა მხოლოდ სილამაზის, ვნებისა და სიყვარულის ესთეტიკაზე, არამედ ზნეობრივ სიმაღლეზე, რომელსაც წმინდა, ღვთაებრივი სიყვარული უკავშირდება. ძნელია მაჯნუნის გაგება ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის მიერ. მშობლებსა და საზოგადოებას ნაკლებად ესმით მისი, უცნაური ყოფისა და ქცევის მიღმა უჭირთ დაინახონ მაჯნუნის სულის სიმაღლე და მშვენიერება. მათი ხედვა სოციალური ნორმებით არის შეზღუდული. საზოგადოებისთვის მისაღებია „ნორმალური“, ჩვეულებრივი წევრი, აშინებს სტანდარტებისა და ნორმების რღვევა, ნადირთა სამყარო კი ადამიანისთვის აუხსნელი ალღოთი გრძნობს და ხედავს მაჯნუნის სულის ნათელს, ემორჩილება და ემონება რაღაც ზებუნებრივს, რომელიც მასში დავანებულია:

„თითქოს ნადირთაც გაეგოთ,
რომ ამ კაცს სული დასწვოდა,
მისდა მორჩილად მორბოდა,
თუ სადმე მხეცი დაძრწოდა.
ლომი იყო ის, ირემი,
გინა მგელი თუ მელია,
წინ ისე უდგნენ, იტყოდნი:
„ამის ბრძანებას ელიან.“
ვითა სოლომონს (ამ მეფის
ამბავი გაგეგონებათ)
მთელმა ნადირთა საუფლომ
მაჯნუნს დაუწყო მონება.“ (გვ. 281)

ნიზამისთვის მარგალიტივით ძვირფასია კარგი ნათქვამი. რაც უფრო აზრიანი, გამოზომილი, ლაკონურია საუბარი, მით უფრო საამო და საყურადღებოა:

„ცოტა თქვი, მაგრამ კარგად თქვი,
ვით მარგალიტი ჭიოტა.
რა დაუდგება კარგ ნათქვამს,
თუ ხალხში ერთხელ იოტა!
ბევრს თუ იყბედებ, მოსმენის
დაეკარგებათ ხალისი.
მარგალიტი გაქვს, გგონია,
თურმე გქონია ალიზი.“
(„სიტყვაძვირობის სიკეთე“, გვ. 62).

ნიზამი განჯელმა კარგად იცოდა თავისი შემოქმედების ფასი, საკუთარი პოეტური სიტყვის სიკეთე, სიღრმე და სილამაზე – მისი უკვდავების გარანტი („ჩემს სათნოებას მე მიზღავს ხალხი გონებით განთქმული,/მოვავგონდები მგოსანი, შავ სამარეში დანთქმული./მჯერა ვიცოცხლებ და გულში სიკვდილი არც გამივლია,/მოვკვდები და ჩემ საფლავზე, ვით სალოცავზე, ივლიან.“ გვ. 40-

41). მისი არაერთი მაქსიმა დროთა განმავლობაში ანდაზებად გავრცელდა ხალხში. მათ დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა.

ეთიკა და ესთეტიკა კვლავაც ურთიერთდაკავშირებულ ცნებებად აღიქმება. რაც კარგია, ესთეტიკურიცაა. რაც სიკეთეს მოკლებულია, ის შეუძლებელია იყოს მშვენიერი, ჭეშმარიტი მშვენიერება კი სულიერი ფენომენია და სიკეთე, სიბრძნე და სიყვარული მისგან განუყოფელია, ამიტომაც ეთიკურისა და ესთეტიკურის მთლიანობა ჰუმანისტური მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ძირითად ასპექტად მიგვაჩნია, რომელიც თავისი მნიშვნელობით უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებისა და არა მხოლოდ რუსთაველისა და ნიჟამის, არამედ ყველა დროის მწერლობის მკაფიო ტენდენციად გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: „მეცნიერება“.
- ალიევა, დ. (1983). „ქალი – მთავარი მოქმედი გმირი“ (ესთეტიკური იდეალის გამოხატულება ნიჟამისა და რუსთაველის შემოქმედებაში), „მნათობი“, 9, 151–155, თბილისი.
- ამირხანაშვილი, ვ. (2019) ნიჟამი და რუსთაველი: დრო და ესთეტიკური მრწამსი, „რუსთველოლოგია“, IX, 2010, 109-128.
- არისტოტელე, (1994). „დიდი ეთიკა“ (თამარ კუკავას თარგმანი), თბილისი:
- ეკო, უ. (2015). ესთეტიკური აღქმის ასპექტები შუასაუკუნეებში (მთარგმნელი, მაკა ელბაქიძე), „სჯანი“, 16, 110-121, თბილისი.
- ელბაქიძე, მ. (2013). „შუასაუკუნეებისა და რენესანსის ესთეტიკურ კატეგორიათა ურთიერთმიმართებისათვის (სილამაზე/მშვენიერება)“, „სჯანი“ 14. ელბაქიძე. 77-90.
- კარბელაშვილი, მ. (2016). „ტერმინ სისხლისთვის „ვეფხისტყაოსანში“, წიგნში „ტერმინი ცნება და პარადიგმა ვეფხისტყაოსანში“, 14-54, თბილისი: „მწიგნობარი“.
- კილაძე, ი. (1993). „პერსონაჟთა გარეგნული აღწერის პოეტიკა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ხოსროვშირინიანის“ მიხედვით, „მაცნე“, ელს, 2, 51-64, თბილისი: „მეცნიერება“.
- ნადირაძე, გ. (2006). „რუსთაველის ესთეტიკა“, II გამოცემა. თბილისი.
- ნიჟამი განჯელი, (1974). ლირიკა, „ლეილი და მაჯუნა“, მაგალი თოდუას თარგმანითა და წინასიტყვაობით, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ნიჟამი განჯელი, (1986). „შვიდი მზეთუნახავი“, თბილისი: „მერანი“.
- ნიჟამი განჯელი, (2014). „ხოსროვი და შირინი“, სპარსულიდან თარგმნა ამბაკო ჭელიძემ, მაგალი თოდუას რედაქციით, კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი, სერია კავკასიის კლასიკოსები, მეორე გამოცემა, ბაქო: „ისტ-ვესტ“.
- ნიჟამი განჯელი, (1962). ლირიკა, თარგმანი მაგალი თოდუასი, თბილისი: „ნაკადული“.
- გრიგოლ ნოსელი, (2009). „შესაქმისათვის კაცისა“. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო გვანცა კოპლატაძემ. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.
- ორბელიანი, ს. (1991). ლექსიკონი ქართული, I, თბილისი: „მერანი“.
- ორბელიანი, ს. (1993). ლექსიკონი ქართული, II, თბილისი: „მერანი“
- სირაძე, რ. (1975). „ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- სირაძე, რ. (2000). ქართული კულტურის საფუძვლები. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- შოთა რუსთაველი, (1951). „ვეფხისტყაოსანი“, სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
- Əliyeva, S. (2021). Nizami Gəncəvi "Xəmsə"sində əxlaq gözəlliyinin təənnümündə folklor örnəklərinin rolu. Nizami və nəvəi irsinin mif və folklor qaynaqları beynəlxalq elmi konfransın materialları, 404-412. Bakı şəhəri: il Elnur Həsənov, Folklor İnstitutu
- https://www.academia.edu/102390884/N%C4%B0ZAM%C4%B0_V%C6%8F_N%C6%8FVA%C4%B0_%C4%B0RS%C4%B0N%C4%B0N_M%C4%B0F_V%C6%8F_FOLKLOR_QAYNAQLARI?uc-sb-sw=105906496

References:

- Abuladze, I. (1973). *Dzveli Kartuli enis leKsik'oni*. [Dictionary of the Old Georgian Language]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Alieva, D. (1983). „Kali – mtavari moKmedi gmiri“ (estet'ik'uri idealis gamokhat'uleba Nizamisa da Rustavelis shemoqmedebashi). [“Woman – the Main Acting Hero” (Expression of the Aesthetic Ideal in the Works of Nizami and Rustaveli)]. „Mnatobi“, 9, 151–155, Tbilisi.
- Aliyeva, S. (2021). Nizami Gəncəvi “Xəmsə”sində əxlaq gözəlliyinin tərənnümündə folklor örnəklərinin rolu. Nizami və nəvəi irsinin mif və folklor qaynaqları beynəlxalq elmi konfransın materialları. [The role of folklore examples in the glorification of moral beauty in Nizami Ganjavi's "Khamasa". Proceedings of the international scientific conference on myth and folklore sources of Nizami and Navoi's heritage]. Bakı şəhəri: il Elnur Həsənov, Folklor İnstitutu.
- Amirkhanashvili, V. (2019) Nizami da Rustaveli: dro da estet'ik'uri mrts'amsi. [Nizami and Rustaveli: Time and Aesthetic Beliefs]. „Rustvelologia“, IX, 2010, 109-128.
- Arist'ot'ele, (1994). „Didi etik'a“ (Tamar K'uk'avas targmani). [“Great Ethics” (translated by Tamar Kukava)]. Tbilisi.
- Ek'o, U. (2015). Estet'ik'uri aghkmis asp'ekt'ebi shuasauk'uneebshi (mtargmneli, Mak'a Elbaqidze). [Aspects of Aesthetic Perception in the Middle Ages (translator, Maka Elbakidze)]. „Sjani“, 16, 110-121, Tbilisi.
- Elbakidze, M. (2013). „Shuasauk'uneebisa da renesansis estet'ik'ur k'at'egoriata urtiertmimartebisatvis (silamaze/mshveni-ereba)“. [“On the Relationship of Aesthetic Categories of the Middle Ages and the Renaissance (Beauty/Beautifulness)“]. „Sjani“ 14. 77-90.
- Grigol Noseli, (2009). „Shesakmisatvis k'atsisa“. Dzveli berdznulidan targmna da shenishvnebi daurto Gvantsa K'op'lat'adzem. [“For the Creation of Man”. Translated from ancient Greek and with notes by Gvantsa Koplatadze]. Tbilisi: Sakartvelos sap'at'riarqos gamomtsemloba.
- K'arbelashvili, M. (2016). „T'ermin siskhlistvis „Vepkhist'q'aosanshi“. Ts'ignshi: „t'ermini tsneba da p'aradigma vepkhist'q'aosanshi“. [“The Term for Blood in “The Rider on the Leopard’s Skin”, in the book “The Term Concept and Paradigm in The Rider on the Leopard’s Skin”]. 14-54, Tbilisi: „Mts'ignobari“.
- K'iladze, I. (1993). „P'ersonazhta garegnuli aghts'eris p'oet'ik'a „Vepkhist'q'aosnisa“ da „Khosrovshiriniანი“ mikhedvit. [“The Poetics of the External Description of Characters According to “The Rider on the Leopard’s Skin” and “Khosrovshirinian”]. „Matsne“, els, 2, 51-64, Tbilisi: „Metsniereba“.
- Nadiradze, G. (2006). „Rustavelis estet'ik'a“, II gamotsema. [“Rustaveli’s Aesthetics”, 2nd edition]. Tbilisi.
- Nizami Ganjeli, (1974). Lirik'a, „Leili da Majnuni“, Magali Toduas targmanita da ts'inasit'q'vaobit. [Lyrika, “Leyli and Majnun”, translated and prefaced by Magali Todua]. Tbilisi: „Sabch'ota Sakartvelo“.
- Nizami Ganjeli, (1986). „Shvidi mzetunakhavi“. [“Seven Beauties”]. Tbilisi: „Merani“.
- Nizami Ganjeli, (2014). „Khosrovi da Shirini“, sp'arsulidan targmna Ambak'o Ch'elidzem, Magali Toduas redaqtisiit. [“Khosrov and Shirin”, translated from Persian by Ambako Chelidze, edited by Magali Todua]. K'avk'asiis st'rat'egiuli k'vlevis inst'it'ut'i, seria K'avk'asiis k'lasik'osebi, meore gamotsema, Bako: „Ist'-vest“
- Nizami Ganjeli, (1962). Lirik'a. Targmani Magali Toduasi. [Lyrika, translated by Magali Todua]. Tbilisi: „Nak'aduli“.
- Orbeliani, S. (1991). Leksik'oni kartuli, I, [Georgian Dictionary, I]. Tbilisi: „Merani“.
- Orbeliani, S. (1993). Leqsik'oni Kartuli, II, [Georgian Dictionary, II]. Tbilisi: „Merani“.
- Shota Rustaveli, (1951). „Vepkhist'q'aosani“, saredaktsio k'olegia: Al. Baramidze, K'. K'ek'elidze, A. Shanidze. Tbilisi: Sakartvelos ssr sakhelmts'ipo gamomtsemloba.
- Shota Rustaveli, (1966). „Vepkhist'q'aosani“. [“The Man in the Tiger’s Skin”, Editorial Board: Al. Baramidze, K. Keke- lidze, A. Shanidze]. Tbilisi: „Sabch'ota Sakartvelo“.
- Siradze, R. (1975). „Dzveli Kartuli teoriul-lit'erat'uruli azrovnebis sak'itkhebi“. [“Issues of Ancient Georgian Theo- retical-Literary Thought”]. Tbilisi, Tsu gamomtsemloba.
- Siradze, R. (2000). Kartuli k'ult'uris sapudzvlēbi. [Fundamentals of Georgian Culture]. Tbilisi: Tsu gamomtsemloba.